

## ღამის ასტროტურის მიმოხილვა

**ჩატარების ადგილი:**

40 სმ-იანი რეფრაქტორის შენობა (დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი)

**მომსახურება მოიცავს:**

### 1. სადემონსტრაციო დარბაზი

*დამთვალეიერებელი გაეცნობა ობსერვატორიის დაარსების ისტორიას, ქართული ასტრონომიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს და მოვლენებს, დღევანდელიობას და პერსპექტივებს. ეწვევა ობსერვატორიის დამაარსებლის, აკად. ევგენი ხარაძისა და პროფ. მიხეილ ვაშაკიძის კაბინეტებს.*

### 2. 40 სმ-იანი ტელესკოპი

*დამთვალეიერებელი გაეცნობა ობსერვატორიის ერთ-ერთ უძველეს პროფესიონალურ ტელესკოპს - 40 სმ-იან რეფრაქტორს და მისი ასტრონომიული კომპლექსის კონსტრუქციას, ციურ სხეულებზე დაკვირვების პრინციპებს და მათ თავისებურებებს. 40 სმ-იანი ტელესკოპი და შენობა, რომელშიც ის არის განთავსებული ატარებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს.*

### 3. ცის დათვალეიერება

**3.1 მოწმენდილი ცის შემთხვევაში** - დამთვალეიერებელი ტელესკოპის გამოყენებითა და ასტროვიდის დახმარებით იხილავს სხვადასხვა საინტერესო ციურ ობიექტებს, ვიზიტის პერიოდში მნათობთა ხილვადობის შესაბამისად.

**3.2 მოღრუბლული ცის შემთხვევაში** - დამთვალეიერებელი მონიტორზე იხილავს ტელესკოპით მიღებული ციური სხეულების ფოტოებს.